ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8063842

ნომერი: AR11157405

თარიღი : 19.08.2026

გაცემის თარიღი : 31.08.2026

გაცნობის თარიღი : 31.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ინტერნატის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუკრი ქობალია პ/ნ 62006031448
- vazisubani 4/2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 19 აგვისტოს №AR11157405 განცხადებით მომართა ნუკრი ქობალიამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 19

ივნისის №7969678 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებით, №01.12.14.093.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 27 აპრილის №7897804 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, მოთხოვნილია განაშენიანების ფართობად 290.77 კვ.მ-ის ნაცვლად 289.77 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 319.83 კვ.მ-ის ნაცვლად 339.62 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 101.5 კვ.მ-ის ნაცვლად 105.19 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 43.25 კვ.მ-ის ნაცვლად 21.29 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 479.08 კვ.მ-ის ნაცვლად 466.1 კვ.მ-ის, სამშენებლო მოცულობა 2411.99 კუბ.მ-ის ნაცვლად 2521.0 კუბ.მ-ის, ნიშნულს ზევით 1996.13 კუბ.მ-ის ნაცვლად 2088.34 კუბ.მ-ის, ნიშნულს ქვევით 415.86 კუბ.მ-ის 434.66 კუბ.მ-ის, ამასთან, №1 შენობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი არის 249.92 კვ.მ., №2 შენობის - 237.77 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები და გეგმა-ნახაზები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, არასწორი დაჯამების გამო. აღსანიშნავია, რომ მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს არა 466.1 კვ.მ. ფართობს, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 480.6 კვ.მ-ს. ამასთან, შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნული გეგმებზე მაჩვენებლების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში განაშენიანების ფართობად დაფიქსირდეს 289.77 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად - 339.62 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 105.19 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 21.29 კვ.მ-ის, საერთო ფართობად - 480.6 კვ.მ., სამშენებლო მოცულობად 2521.0 კუბ.მ., ნიშნულს ზევით - 2088.34 კუბ.მ., ნიშნულს ქვევით 434.66 კუბ.მ., კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი: №1 შენობის 249.92, №2 შენობის - 237.77 კვ.მ.
2. სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2026 წლის 19 ივნისის №7969678 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.